საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეგრელაძე ირაკლი ილიას ძე

ი. მეგრელაძე

მეგრელაძე ირაკლი ილიას ძე (დ. 27. VIII. 1938, თბილისი), კარდიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (2005), ემერიტუსი (2015), საქართვ. სსრ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1981). 1962 დაამთავრა თსსი. 1962–63 მუშაობდა ბორჯომის სანატორიუმის ექიმ- ორდინატორად. 1967–77 იყო თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის კარდიოლოგიის კათედრის ასისტენტი; 1977–98 – ამავე ინ-ტის (შემდგომში თბილ. სახელმწ. სამედ. აკადემია) თერაპიისა და კარდიოლოგიის კათედრის დოცენტი, პროფესორი (1998–99); 1999–2005 – კათედრის გამგე, კარდიოლოგიის სარეზიდენტო პროგრამის დირექტორი; 1991–92 – ჯანდაცვის და სოც. უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე, მინისტრი; 2006–15 – თსსუ-ის კარდიოლოგიის მიმართულების სრული პროფესორი, შეთავსებით – შპს ,,კარდიოლოგიური კლინიკის“ დირექტორი (2003–11); 2011–22 – ,,ამტელ ჰოსპიტალ – პირველი კლინიკური საავადმყოფოს“ კარდიოლოგიის დეპარტამენტის, 2022-იდან კი ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ კარდიოლოგიური განყ-ბის ხელმძღვანელი, იმავე წელს აღნიშნულ განყ-ბას მიენიჭა ი. მეგრელაძის სახელი.

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, რ-ებიც მოიცავს კლინიკური და ექსპერ. მედიცინის ფართო სპექტრს (ელექტროფიზიოლოგია, კარდიოლ. დაავადებათა პათოგენეზი, დიაგნოსტიკა და ფარმაკოთერაპია). ნაშრომისათვის „მიოკარდიუმის ინფარქტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მოწინავე გამოცდილების დანერგვისთვის 1966–79 წლებში“ მ-ს მიღებული აქვს სახელმწ. პრემია (თანაავტორებთან ერთად), ასევე სხვა

სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998). არის მრავალი სამეცნ. საზ-ბისა და ასოციაციის წევრი.

თხზ.: პლაფერონი, კლინიკურ-ექსპერიმენტული კვლევის შედეგები, თბ., 2011.